

“PARTNERSHIP INITIATIVE”
Agreement on
STUDENTS’ CAREER DEVELOPMENT IN GEORGIA

With the purpose of supporting students’ career development and employability in Higher Education Institutions of Georgia, TEMPUS/CASEDE (530566-TEMPUS-1-2012-1-LT-TEMPUS-SMGR (2012-3045/001-001) partner universities:

LEPL - Ivane Javakhishvili Tbilisi State University,
LEPL - Batumi Shota Rustaveli State University,
LTD - International Black Sea University,
LEPL - Samtskhe Javakheti State University,
LEPL - Iakob Gogebashvili Telavi State University,
LEPL - Shota Meskhia State Teaching University of Zugdidi,
LTD - University of Georgia

Together with

Georgian Employers Association and the International Chamber of Commerce Georgia, agree on cooperation and sign this “Partnership Initiative” document.

I. Purpose of the Partnership Initiative

The purpose of the Partnership Initiative is to:

- express a share understanding of the importance of students career development within Georgian HEIs;
- agree the priorities, objectives, approaches and ways of co-operation in order to improve students’ employability through the development of the key skills and capabilities required by a global labour market.

It creates the first common ground by which Georgian HEIs and other interested parties can share values, policies and expertise that will enhance students’ employability and develop future bi- and multilateral forms of co-operation in this field.

II. Description of problematic areas

All parties to the Partnership Initiative acknowledge that there are a range of general issues that currently have a negative impact on students’ employability, including:

- students’ personal and professional self-awareness in relation to their career vision, motivation and planning;
- students’ understanding of modern labour market dynamics and work environments and their ability to adapt to the requirements of these;
- the match between students’ theoretical knowledge and the practical skills required by employers;
- students’ job search strategies and self-presentation skills;
- the lack of effective contacts between students and employers.

III. Priorities for collaboration

In order to address these issues, the following priorities for collaboration have been identified:

- a) Establishing and supporting the development of institutional careers units employing skilled professionals able to provide students with high quality career services.
- b) Supporting students in building their employability skills and competencies through education and training activities, and advisory consultations.
- c) Involving employers more directly in students' career development activities.
- d) Facilitating links between students and employers to increase students' understanding of, and exposure to, the world of work.
- e) Encouraging employers to share details of their current and/or future HR needs in order to ensure that students have access to up-to-date information.

IV. Board

A Board of representatives, comprising an appropriate representative from each party signing the Partnership Initiative (for example, heads of institutional careers units), shall be set up in order to:

- a) Set the overall strategic direction of the Partnership Initiative.
- b) Establish agreed working methods and rules, and identify appropriate mechanisms and resources, to ensure the smooth running of the Partnership Initiative.
- c) Facilitate effective communications between the Partnership Initiative parties including the exchange of information about ongoing activities, challenges and plans.
- d) Monitor and evaluate the Partnership Initiative's activities and report as appropriate on these.
- e) Establish agreed dissemination and publicity procedures at both national and institutional levels to be implemented by all parties.

V. Final provisions

This Partnership Initiative document:

- embodies the understandings of all signing parties and does not create legally binding rights or obligations;
- may be modified or extended by mutual agreement of all parties;
- is effective from the date on which it is signed on behalf of all parties.

Collaborative activities under the Partnership Initiative shall take account of the respective laws and regulations of all parties.

Signatures:

LEPL - Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Address: 1, Chavchavdze Ave., 0179 Tbilisi, Georgia

VAT code: 204864548

Tel.: (+995 32) 222 51 07; Fax: (+995 32) 222 5659

E-mail: international@tsu.ge



Prof. Vladimer Papava
Rector

LEPL - Iakob Gogebashvili Telavi State University

Address: 1, Kartuli Universiteti st., 2200 Telavi, Georgia

VAT code: 231187168

Tel.: (+995 350) 272401; Fax: (+995 350) 273264

E-mail: rector@tesau.edu.ge



Prof. Avtandil Gelagutashvili
Rector

LTD - International Black Sea University

Address: 2, David Agmashenebeli Alley 13km, 0131 Tbilisi, Georgia

VAT code: 229275405

Tel.: (+995 32) 259 50 05; Fax: (+995 32) 259 50 08

E-mail: contact@ibsu.edu.ge



Prof. S. Ercan Tunc
Rector

International Chamber of Commerce Georgia

Address: 3/29 P. Kakabadze st., 0105 Tbilisi, Georgia

VAT code: N/A – Non Profit

Tel.: (+995 32) 298 81 76

E-mail: m.martley@icc.ge; m.eristavi@icc.ge



Michael Martley
Executive Director


LEPL - Batumi Shota Rustaveli State University

Address: 35, Ninoshvili st., 6010 Batumi, Georgia

VAT code: 245 428 158

Tel.: (+995 422) 271787; Fax: (+995 422) 271787

E-mail: info@bsu.edu.ge



Prof. Irakli Baramidze
Vice Rector

Georgian Employers Association

Address: 8, Chachava st., Mioni Business Centre. Tbilisi, Georgia

VAT code: 220420545

Tel.: (+995 32) 2 14 73 73; Fax: (+995 32) 2 14 73 73

E-mail: employer@employer.ge



Elguja Meladze
President


LEPL - Samtskhe Javakheti State Teaching University

Address: 106, Rustaveli st., Akhaltsikhe, Georgia

VAT code: 224066977

Tel.: (+995 99) 06 33 66; Fax: (+995 365) 22 19 90

E-mail: beridze-merab@rambler.ru



Prof. Merab Beridze
Rector

LEPL - Shota Meskhia State Teaching University of Zugdidi

Address: 14, Janashia st., 2100 Zugdidi, Georgia

VAT code: 220407888

Tel.: (+995 415) 25 62 17; Fax: (+995 415) 25 62 17

E-mail: zssuedu@gmail.com



Zaal Kortua
Head of Administration


LTD - University of Georgia

Address: 77a, M.Kostava st., Tbilisi, Georgia

VAT code: 205 037 137

Tel.: (+995 32) 2 55 22 22; Fax: (+995 32) 2 55 22 22

E-mail: info@ug.edu.ge



Prof. Manana Sanadze
Director

Tbilisi, 26 June 2014

„პარტნიორობის ინიციატივა“
შეთანხმება
საქართველოში სტუდენტთა კარიერული
განვითარების ხელშეწყობისთვის

საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში სტუდენტთა კარიერული განვითარებისა და დასაქმების ხელშეწყობის მიზნით ევროკავშირის უმაღლესი განათლების რეფორმის ხელშეწყობისა და თანამშრომლობის პროგრამის - „ტემპუსის“ მიერ დაფინანსებული პროექტის - „სტუდენტური საკარიერო სერვისების განვითარება საქართველოში“ (CASEDE- No. 530566-TEMPUS-1-2012-1-LT-TEMPUS-SMGR (2012-3045/001-001)-P6)

პარტნიორი უნივერსიტეტები:

- სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
- სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
- შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი,
- სსიპ - სამცხე ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
- სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
- სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი,
- შპს - საქართველოს უნივერსიტეტი

საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციასა და საერთაშორისო სავაჭრო პალატის ეროვნულ კომიტეტთან ერთად თანხმდებიან თანამშრომლობაზე და ხელს აწერენ დოკუმენტს „პარტნიორობის ინიციატივა“.

I. პარტნიორობის ინიციატივის მიზნები

პარტნიორობის ინიციატივის მიზნებია:

- საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში სტუდენტთა კარიერული განვითარების სერვისის მნიშვნელობის აღიარება და კონკრეტული ქმედებების განხორციელება ამ მიმართულებით;
- თანამშრომლობის მიზნებისა და პრიორიტეტების შეთანხმება და შესაბამისი მეთოდებისა და საშუალებების შემუშავება დასაქმებისთვის აუცილებელი საკვანძო უნარ-ჩვევების განვითარების გზით სტუდენტთა დასაქმების ხელშეწყობისთვის, გლობალური შრომის ბაზრის მოთხოვნათა შესაბამისად.

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს საფუძველს იმისთვის, რომ საქართველოს უმაღლესმა სასწავლებლებმა და სხვა დაინტერესებულმა მხარეებმა ერთმანეთს გაუზიარონ საკუთარი ხედვა, პოლიტიკა და გამოცდილება სტუდენტთა დასაქმების ხელშეწყობის მიზნით და მომავალში განავითარონ ორმხრივი თუ მრავალმხრივი თანამშრომლობის ფორმატები ამ სფეროში.

II. პრობლემატური საკითხების აღწერა

„პარტნიორობის ინიციატივაზე“ ხელისმომწერი ყველა მხარე თანხმდება, რომ არსებობს ზოგადი საკითხები, რომლებიც უარყოფითად აისახება სტუდენტთა დასაქმებაზე, მათ შორის:

- სტუდენტებს არ აქვთ მკაფიოდ განსაზღვრული პირადი და პროფესიული პრიორიტეტები და გამოკვეთილი კარიერული ხედვა; აკლიათ მოტივაცია და მომზადება საკუთარი კარიერის დაგეგმვისთვის;

- სტუდენტები არ იცნობენ თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნებს, არ აქვთ მკაფიოდ გაცნობიერებული, რას ნიშნავს შრომის ბაზარზე თავის დამკვიდრება, აკლიათ სამუშაოს მოთხოვნებთან შეგუების უნარი;
- შეუსაბამობაა სტუდენტების თეორიულ და პრაქტიკულ ცოდნას შორის;
- სტუდენტებს არ აქვთ მკაფიო წარმოდგენა სამუშაოს ძიების სტრატეგიასა და მექანიზმებზე; აქვთ თვით-პრეზენტაციის არასაკმარისი უნარი;
- მწირია პირდაპირი კონტაქტი სტუდენტებსა და დამსაქმებლებს შორის.

III. თანამშრომლობის პრიორიტეტები

წინა პუნქტში ჩამოთვლილი პრობლემატური საკითხების მოგვარების მიზნით მხარეებს შორის გამოიკვეთა თანამშრომლობის შემდეგი პრიორიტეტები:

- ა) უმაღლეს სასწავლებლებში სტუდენტთა კარიერული განვითარების ცენტრების შექმნა, სადაც კვალიფიციური სპეციალისტები მოემსახურებიან სტუდენტებს პროფესიული ორიენტაციისა და განვითარების საკითხებზე;
- ბ) სტუდენტების დახმარება დასაქმებისთვის აუცილებელი უნარ-ჩვევების გამომუშავებაში სპეციალური ტრენინგებისა და მიზნობრივი საქმიანობების საშუალებით;
- გ) დამსაქმებლების აქტიურად ჩართვა სტუდენტთა კარიერული განვითარების პროცესებში და შესაბამის ღონისძიებებში;
- დ) სტუდენტებსა და დამსაქმებლებს შორის კონტაქტის ხელშეწყობა;
- ე) დამსაქმებლების დაინტერესება უმაღლეს სასწავლებლებთან თანამშრომლობით;
- ვ) ინფორმაციის გაცვლა მიმდინარე თუ სამომავლო საკადრო მოთხოვნებთან დაკავშირებით და ამ ინფორმაციის ოპერატიულად მიწოდება სტუდენტებისთვის.

IV. წარმომადგენელთა საბჭო

„პარტნიორობის ინიციატივის“ ფარგლებში შეიქმნება წარმომადგენელთა საბჭო, რომელშიც შევა დოკუმენტზე ხელისმომწერი ყველა მხარის წარმომადგენელი (უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის, სასურველია, ეს იყოს კარიერული განვითარების სამსახურის ხელმძღვანელი). საბჭოს საქმიანობის მიზანია:

- ა) განისაზღვროს „პარტნიორობის ინიციატივის“ სტრატეგიული მიმართულებები;
- ბ) შეთანხმდეს მუშაობის ზოგადი მეთოდები, გამოვლინდეს მექანიზმები და რესურსები „პარტნიორობის ინიციატივის“ მიზნის განსახორციელებლად;
- გ) უზრუნველყოფილი იყოს კომუნიკაცია დოკუმენტზე ხელისმომწერ მხარეებს შორის, მოხდეს ინფორმაციის გაცვლა მიმდინარე საქმიანობებზე, გამოწვევებზე, სამომავლო გეგმებზე;
- დ) „პარტნიორობის ინიციატივის“ ფარგლებში განხორციელებული საქმიანობების მონიტორინგი;
- ე) ინფორმაციის გავრცელება „პარტნიორობის ინიციატივის“ საქმიანობებზე როგორც თითოეული ხელისმომწერი დაწესებულების ფარგლებში, ასევე ქვეყნის მასშტაბით.

V. დასკვნითი დებულებები

წინამდებარე დოკუმენტი:

- გამოხატავს ხელისმომწერი მხარეების ზოგად მოსაზრებებს და არ წარმოქმნის არანაირ იურიდიულ ვალდებულებას ხელისმომწერი ორგანიზაციებისთვის;
- შეიძლება შეიცვალოს მხარეებს შორის შეთანხმებით;
- ძალაში შედის ყველა მონაწილე მხარის მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს მანამ, სანამ ცალკეული მონაწილე მხარე უარს არ იტყვის შეთანხმების პირობებზე.

„პარტნიორობის ინიციატივის“ ფარგლებში დაგეგმილი ყველა ღონისძიება და საქმიანობა განხორციელდება ხელისმომწერი მხარეების შინაგანაწესებისა და წესდებების დებულებათა თანახმად.


ხელმოწერები:

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
მისამართი: ჭავჭავაძის გამზ. # 1, 0179 თბილისი
საიდენტიფიკაციო კოდი: 204864548
ტელ.: (+995 32) 222 51 07; ფაქსი: (+995 32) 222 56 79
ელ-ფოსტა: international@tsu.ge



აკადემიკოსი ვლადიმერ პაპავა
რექტორი

სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი
მისამართი: ქართული უნივერსიტეტის ქ. #1, 2200 თელავი
საიდენტიფიკაციო კოდი: 231187168
ტელ: (+995 350) 272401; ფაქსი: (+995 350) 273264
ელ-ფოსტა: rector@tesau.edu.ge



პროფ. ავთანდილ ლელაშვილი
რექტორი

შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი
მისამართი: დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-13კმ., #2, 0131 თბილისი
საიდენტიფიკაციო კოდი: 229275405
ტელ: (+995 32) 2595005; ფაქსი: (+995 32) 2595008
ელ-ფოსტა: contact@ibsu.edu.ge




პროფ. შვექეთ ერჯან თუნჩი
რექტორი

საერთაშორისო სავაჭრო პალატის ეროვნული კომიტეტი
მისამართი: პოლიკარპე კაკაბაძის ქ. #3/29, 0105 თბილისი
ტელ: (+995 32) 298 81 76; (+995 32) 292 02 31
ელ-ფოსტა: m.martley@icc.ge



მაიკლ მართლი
აღმასრულებელი დირექტორი

სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
მისამართი: ნინოშვილის ქ. #35, 6010 ბათუმი
საიდენტიფიკაციო კოდი: 245 428 158
ტელ: (+995 422) 271787; ფაქსი: (+995 422) 271787
ელ-ფოსტა: info@bsu.edu.ge



პროფ. ირაკლი ბარამიძე
რექტორის მოადგილე

საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაცია
მისამართი: ჩაჩავას ქ. #8 (მიონის ბიზნეს ცენტრი) თბილისი
საიდენტიფიკაციო კოდი: 220420545
ტელ: (+995 32) 2 14 73 73; ფაქსი: (+995 32) 2 14 73 73
ელ-ფოსტა: employer@employer.ge



ელგუჯა მელაძე
თავმჯდომარე


სსიპ - სამცხე ჯავახეთის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

მისამართი: რუსთაველის ქ. #106, ახალციხე

საიდენტიფიკაციო კოდი: 224066977

ტელ: (+995 99) 06 33 66; ფაქსი: (+995 365) 22 19 90

ელ-ფოსტა: beridze-merab@rambler.ru



პროფ. მერაბ ბერიძე
რექტორი


სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო
სასწავლო უნივერსიტეტი

მისამართი: ჯანაშიას ქ. # 14, 2100 ზუგდიდი

საიდენტიფიკაციო კოდი: 220407888

ტელ: (+995 415) 25 62 17; ფაქსი: (+ 995 415) 256217

ელ-ფოსტა: zssuedu@gmail.com



ზაალ ქორთვა
ადმინისტრაციის ხელმძღვანელი


შპს - საქართველოს უნივერსიტეტი

მისამართი: მ.კოსტავას ქ. #77ა . თბილისი

საიდენტიფიკაციო კოდი: 205037137

ტელ: (+995 32) 2 55 22 22; ფაქსი: (+995 32) 2 55 22 22

ელ-ფოსტა: info@ug.edu.ge



პროფ. მანანა სანაძე
დირექტორი

თბილისი, 26 ივნისი, 2014 წ.